

MG Renewables LLC

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ყველა თანხა მოცემულია ათასებში ქართულ ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

	31.12.2022	31.12.2021	
აქტივები			
ძირითადი საშუალებები			
ქონება და აღჭურვილობა (შენიშვნა 3)	6947	7,194	
სულ ძირითადი საშუალებები	6947	7,194	
მიმდინარე აქტივები			
ინვენტარი	4	4	
სხვა მიმდინარე აქტივები	8	21	
დებიტორული დავალიანება	12	42	
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები (შენიშვნა 4)	152	274	
სულ მიმდინარე აქტივები	176	341	
სულ აქტივები	7123	7,535	
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	(6917)	(9,566)	
სულ კაპიტალი	(6917)	(9,566)	
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	14023	17,068	
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	0	-	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	14023	17,068	
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხების მიმდინარე ნაწილი			
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	4	6	
კრედიტორული დავალიანება	13	27	
სულ მიმდინარე ვალდებულებები	17	33	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	7123	7,535	

MG Renewables LLC

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ყველა თანხა მოცემულია ათასებში ქართულ ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ანგარიშგება ერთობლივი შემოსავლის შესახებ

	31.12.2022 წ. ბოლოს მდგომარეობით	31.12.2021 წ. ბოლოს მდგომარეობით	
შემოსავალი გაყიდვიდან	491	735	
თვითღირებულება (შენიშვნა 5)	(549)	(478)	
მთლიანი მოგება	(58)	257	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (შენიშვნა 6)	(697)	(869)	
საოპერაციო შემოსავლები	(755)	(612)	
შემოსავალი კურსის ცვლილებიდან / (ზარალი), ნეტო	3954	376	
ფინანსური (ხარჯი) / შემოსავალი (ნეტო)	(562)	(647)	
არასაოპერაციო შემოსავალი, ნეტო	12	(41)	
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადამდე	2649	(924)	
მოგების გადასახადი			
სუფთა მოგება	2649	(924)	
სხვა ერთობლივი მოგება (ზარალი)			
სულ ერთობლივი მოგება	2649	(924)	

MG Renewables LLC

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ყველა თანხა მოცემულია ათასებში ქართულ ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	31 დეკემბრის მდგომარეობით	
	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	520	727
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(510)	(538)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	10	18
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	10	18
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ქონებისა და აღჭურვილობის შესყიდვა და შემუშავება	(40)	(1)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(40)	(1)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსულობანი სესხებიდან და კრედიტებიდან		-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(86)	-
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (კლება)	(116)	188
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	274	90
კონვერტაციით მიღებული მოგება (ზარალი) ფულად სახსრებსა და მის მის ეკვივალენტებზე	(6)	(4)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	152	274

MG Renewables LLC

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ წლისთვის

(ყველა თანხა მოცემულია ათასებში ქართულ ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	-	(8642)	(8642)
სულ ერთობლივი ზარალი 2021 წლისთვის	-	(4,546)	(4,546)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის	-	(9566)	(9566)
სულ ერთობლივი ზარალი 2022 წლისთვის	-	2649	2649
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის	-	(6917)	(6917)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით:

/ხელმოწერილია/ იოსებ ედელშტეინი, დირექტორი

/ხელმოწერილია/

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია MG Renewables LLC (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც დაარსდა 2017 წლის 16 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართი 2020 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით იყო საქართველო, 0119 თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა, 27ბ, ოფისი 23.

კომპანიის დამფუძნებელი და 100% აქციონერი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის Meptagon Green B.V LLC, რეგისტრირებული ჰოლანდიის კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის მთავარი საქმიანობა წარმოადგენს განახლებადი ენერგიის პროექტის განვითარება საქართველოში, ასევე ელექტროენერგიის წარმოება და გაყიდვა.

შენიშვნა 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული მთავარი სააღრიცხვო პოლიტიკა მითითებულია ქვემოთ.

2.1 მომზადების საფუძველი

MG Renewables LLC-ის ფინანსური ანგარიშგება (შენიშვნა 2.14) მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფასკ“) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომელიც გამოიყენება ფასს-ის შესაბამისად ახორციელებენ ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია თავდაპირველი ღირებულების პრინციპით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს კონკრეტული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან განსჯის უნარის გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების პროცესში. განსჯის ან სირთულის უფრო მაღალი ხარისხის მომცველი სფეროები, ან სფეროები, სადაც ვარაუდები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, მოცემულია პუნქტში 2.14.

2.2 უცხოური ვალუტის კონვერტაცია

(ა) ფუნქციური და სააღრიცხვო ვალუტა

კომპანიის თითოეული სუბიექტის თითოეულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი ნივთები ფასდება პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, რომელშიც სუბიექტი ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“, რომელიც არის ქართული ლარი ყველა ჯგუფის სუბიექტისთვის). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც კომპანიის ფუნქციური და სააღრიცხვო ვალუტაა.

ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელსაც განსაზღვრავს თბილისის ინტერბანკის ვალუტის გაცვლა, ქართულ ლარსა და აშშ დოლარს შორის, და ქართულ ლარსა და ისრაელის ახალი შეკვლს შორის იყო:

	აშშ დოლარი	ისრაელის ახალი შეკელი
2021 წლის 31 დეკემბერს	3.0976	0.9969
2022 წლის 31 დეკემბერს	2.7020	0.7691

(ბ) ტრანზაქციები და ნაშთები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება სუბიექტის ფუნქციურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით შესაბამისი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. უცხოური ვალუტის მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნა წლის ბოლოს ტრანზაქციების მოგვარებიდან და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადატანიდან სუბიექტის ფუნქციურ ვალუტაში საქართველოს ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარებულია მოგება და ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯები. წლის ბოლოს კურსის გადატანა არ ვრცელდება არაფულად ნივთებზე, რომელიც ფასდება თავდაპირველი ღირებულებით. რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი პუნქტები, მათ შორის კაპიტალის ინვესტიციები, კონვერტირდება გაცვლითი კურსით რეალური ღირებულების დადგენის დღეს. რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში შეფასებულ არაფულად ნივთებზე გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგები აისახება როგორც თავდაპირველი ღირებულების მოგების ან ზარალის ნაწილი.

2.3 ქონება და აღჭურვილობა

ქონება და აღჭურვილობა აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით ცვეთის გარეშე. თავდაპირველი ღირებულება მოიცავს დანახარჯს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ნივთების შეძენას.

შემდგომი ხარჯები ჩაითვლება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებული იქნება როგორც ცალკე აქტივი, პირობებიდან გამომდინარე, მხოლოდ თუ შესაძლებელი იქნება, რომ მომავალ ნივთთან ასოცირებული ეკონომიკური სარგებელი შევიდეს კომპანიაში და ნივთის ხარჯების შეფასება საიმედოდ იქნება შესაძლებელი. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება ბალანსიდან. ყველა სხვა რემონტი და ტექნიკური დათვალიერება დაერიცხება შემოსავლის ანგარიშგებას ფინანსური პერიოდის განმავლობაში, როცა ისინი წარმოიშვა.

თითოეულ საანგარიშგებო თარიღზე ხელმძღვანელობა აფასებს, არის თუ არა ქონების ან აღჭურვილობის გაუფასურების რამე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად თანხას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებაზე მეტად გაყიდვის ხარჯებისა და მისი გამოყენებაში ღირებულების გამოკლებით. საბალანსო ღირებულება შემცირდება ანაზღაურებად თანხამდე და გაუფასურების ხარჯი აღიარებული იქნება შემოსავლის ანგარიშგებაში (იმ პირობით, თუ ის გადააჭარბებს წინა გადაფასების ნამეტს კაპიტალში). წინა წლებში აქტივისთვის აღიარებული გაუფასურების ხარჯი გაუქმდება, თუ ცვლილება მოხდება გამოყენებულ შეფასებებში აქტივის გამოყენებაში ღირებულების ან გაყიდვის ხარჯების გამოკლებით რეალური ღირებულების დასადგენად.

ცვეთა ქონებისა და აღჭურვილობის ნივთებზე გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, რათა მოხდეს მათი ხარჯების გადანაწილება მათ ნარჩენ ღირებულებაზე

სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

კლასი	სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	5-20
ავტომობილები	5-10
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა	3-10
მილსადენები და სხვა ჰიდროტექნიკური კონსტრუქციები	50-75

აქტივის მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება აქტივის გაყიდვისას ან დაფარვისას, გამოითვლება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებული შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგებაში.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად აქტივის გასვლიდან მიიღებდა გასვლის სავარაუდო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე იმ ასაკისაა და იმ მდგომარეობაშია, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლია, თუ კომპანია ფიქრობს აქტივის გამოყენებას მისი ფიზიკური სიცოცხლის ბოლომდე. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა განიხილება და მორგებული იქნება საჭიროებისამებრ, ბალანსის წარდგენის თითოეულ დღეს.

2.4 სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის დამკვეთებისგან მისაღები თანხები ჩვეული საქმიანობის პროცესში გაყიდული საქონლისთვის. თუ ამოღება მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან ნაკლებ დროში, ისინი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები. თუ არა, ისინი წარმოდგენილი არიან როგორც გრძელვადიანი აქტივები. ამჟამად, კომპანიის ყველა მოთხოვნა კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე აქტივები, რადგან მათი ამოღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში.

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და შესაბამისად ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

სავაჭრო მოთხოვნები აისახება დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

2.5 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, მოთხოვნამდე ანაზღაურებად ბანკში და სხვა

მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამი თვის ან ნაკლები დროის თავდაპირველი ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამორიცხულია ფულადი სახსრებიდან და მათი ეკვივალენტებიდან ფულადი ნაკადის ანგარიშგების მიზნებისთვის. ნაშთები, რომლის გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება აკრძალულია მინიმუმ თორმეტი თვით, ჩათვლილია სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.6 მომავალი ხარჯების რეზერვი

მომავალი ხარჯების რეზერვი არის გაურკვეველი დროისა და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება, როცა კომპანიას აქვს იურიდიული და კონსტრუქციული ვალდებულება უკანასკნელი მოვლენების შედეგად. სავარაუდოა, რომ ვალდებულების შესასრულებლად საჭირო იქნება რესურსების გადინება, რომელიც განასახიერებს ეკონომიკურ სარგებელს, და შესაძლებელი იქნება ვალდებულების თანხის საიმედო შეფასების გაკეთება.

2.7 ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.8 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები არის საქონლისთვის ან მომსახურებისთვის გადახდის ვალდებულებები, რომელიც შეძენილი იქნა მომწოდებლებისგან ჩვეული საქმიანობის პროცესში. კრედიტორული დავალიანება კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდა უნდა მოხდეს ერთი წლის ან ნაკლები დროის განმავლობაში. თუ არა, ისინი წარმოდგენილია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად, კომპანიის ყველა სავაჭრო ვალდებულება უნდა დაიფაროს ბალანსის თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში და კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე.

სავაჭრო ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და შესაბამისად ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო ვალდებულებები აისახება დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

2.9 შემოსავლის აღიარება

მომსახურების აღიარებულია სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც გაწეული იქნა მომსახურება, დაუყოვნებლივი აღიარების მეთოდის გამოყენებით. შემოსავალი ფასდება მიღებული სამაგიერო სამსახურის ან მოკლევადიანი მოთხოვნების რეალური ღირებულებით, და წარმოადგენს მოთხოვნების თანხებს მიწოდებული საქონლისა და გაწეული მომსახურებისთვის, ასახული წმინდა დისკონტისთვის, შემოსავლებისა და დამატებითი ღირებულების გადასახადისთვის.

2.10 თანამშრომლის სარგებელი

ხელფასების, სარგოს, შვებულებისა და ავადმყოფობის გამო შვებულების, ბონუსებისა და სხვა სარგებელის (კვება, განთავსება, ტრანსპორტირება და სხვა) დარიცხვა ხდება იმ პერიოდში, როცა შესაბამის მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი და კონსტრუქციული ვალდებულება, განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდა.

2.11 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, თუ კომპანიას აქვს აღიარებული თანხების გაქვითვის იურიდიული აღსრულების უფლება, და თუ განზრახული აქვს, ანგარიშსწორება მოახდინოს წმინდა საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულება.

2.12 გადასახადები

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან, რის შედეგადაც გაუქმდა საშემოსავლო (მოგების) გადასახადი. ამიტომ იმ თარიღისთვის არსებული ყველა გადავადებული აქტივი და ვალდებულება ჩამოწერილი იქნა, რადგან არ არსებობს მათი მომავალში ამოღების (დაფარვის) შესაძლებლობა.

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო პოზიციის შეფასება მოხდა ხელმძღვანელობის მიერ თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები დარეგისტრირებულია ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საგადასახადო სტატუსისთვის, რომელიც ალბათ არ გამოიწვევს დამატებითი გადასახადებით დაბეგვრას, თუ საგადასახადო ორგანოები არ გააპროტესტებენ სტატუსს. შეფასება დაფუძნებულია საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციაზე, რომელიც ამოქმედდა ან ფაქტიურად ამოქმედდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და რომელიმე ცნობილი სასამართლო ან სხვა დადგენილებები ამგვარ საკითხებზე. ჯარიმების, პროცენტისა და გადასახადების, საშემოსავლოს გარდა, ვალდებულებები აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ ხარჯების საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომელიც აუცილებელია ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

2.13 ფინანსური ინსტრუმენტები

კლასიფიკაციაზე დაყრდნობით ინსტრუმენტები აისახება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი სუბიექტის ფინანსურ აქტივს და სხვა სუბიექტის ფინანსურ ვალდებულებასა და წილობრივ ინსტრუმენტს.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხდება, შემდეგ შეფასდება ამორტიზირებული ხარჯით, რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავლით (სსშ), და რეალური ღირებულება მოგებით ან ზარალით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე მათი მართვისათვის. გამოწვევას სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, კომპანია, თავდაპირველად, აფასებს ფინანსურ აქტივს რეალური ღირებულებით, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, საოპერაციო დანახარჯებით.

სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, ფასდება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი დაკლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირითად თანხაზე. ეს შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების კომპანიის მართვის ბიზნეს მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს კომპანია ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების შესაქმნელად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, ფულადი ნაკადები წარმოიშობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის შეგროვებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ორივე ერთად.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები იყოფა ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სავალო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სსშ-ს გავლით, ჯამური მოგებისა და ზარალის რეცირკულაციით (სავალო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სსშ-ს გავლით, ჯამური მოგებისა და ზარალის რეცირკულაციით აღიარების შეწყვეტის შემდეგ (კაპიტალის ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სავალო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე რელევანტურია კომპანიისთვის. კომპანია აფასებს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- ფინანსური აქტივი შენარჩუნებულია ბიზნეს მოდელის ფარგლებში ფინანსური აქტივების შენარჩუნების მიზნით ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები წარმოშობს ფულად ნაკადებს კონკრეტულ თარიღებზე, რომელიც არის მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა ნარჩენ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით შემდგომში შეფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (ესგმ) და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგება ან ზარალი აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება.

კომპანიის ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და საკრედიტო დებიტორულ დავალიანებას (გაცემული დაკავშირებულ მხარეებთან).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (მსზ) ყველა სავალო ინსტრუმენტზე, რომელიც არ ერიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოიანგარიშება სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა კონტრაქტის შესაბამისად და ყველა ფულად ნაკადს შორის სხვაობით, რომლის მიღებასაც კომპანია ელოდება, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს ფულად ნაკადებს გირაოში არსებულის რეალიზაციიდან ან კრედიტის გაძლიერებიდან, რაც ხელშეკრულების პირობების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ხდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომლისთვისაც საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოდგენილია საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც წარმოიშობა მოსალოდნელი მოვლენებიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12-თვიანი მსზ). საკრედიტო რისკებისთვის, რომლისთვისაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ზარალის რეზერვი აუცილებელია საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სასიცოცხლო ვადა).

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად. შესაბამისად, კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, სამაგიეროდ აღიარებს ზარალის რეზერვს მსზ-ს სასიცოცხლო ვადის საფუძველზე ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

საკრედიტო ორგანიზაციებში არსებული ნაშთებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოდგენილია საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც წარმოიშობა მოსალოდნელი მოვლენებიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12-თვიანი მსზ). თუმცა, ამ საკრედიტო რისკებისთვის, რომლისთვისაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ზარალის რეზერვი აუცილებელია საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში.

კომპანია თვლის ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად, თუ სახელშეკრულებო გადახდები გადაცილებულია 180 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ასევე ჩათვალოს ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად, თუ შიდა ან გარე ინფორმაცია მიუთითებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ არ მიიღებს

გადასახდელ სახელშეკრულებო თანხებს სრულად კომპანიის მიერ კრედიტის გაუმჯობესების გათვალისწინებამდე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება, როცა არ არსებობს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების გონივრული მოლოდინი.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ნაწილი ან მსგავსი ფინანსური აქტივების მქონე კომპანიის ნაწილი) აღიარების შეწყვეტა (ე.ი. კომპანიის ფინანსური სტატუსის ანგარიშგებიდან ამოღება), პირველ რიგში, ხდება, თუ:

- აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებები ამოიწურა; ან
- კომპანიამ მესამე მხარეს გადასცა აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებები ან აიღო ფულადი ნაკადების არსებითი შეფერხების გარეშე სრულად გადახდის ვალდებულება „ტრანზიტული“ შეთანხმების საფუძველზე; და ან (ა) კომპანიამ გადასცა ყველა რისკი და აქტივის სარგებელი, ან (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც საკუთარ თავზე არ აიღო ყველა რისკი და აქტივის სარგებელი, არამედ გადასცა აქტივის კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებები ან გააფორმა „ტრანზიტული“ შეთანხმება, ის აფასებს, რა ხარისხით, აიღო საკუთარ თავზე რისკები და საკუთრების უფლების ქონასთან დაკავშირებული უპირატესობები. თუ მან არც გადასცა და არც საკუთარ თავზე არ აიღო არსებითად ყველა რისკი და აქტივის სარგებელი, არც გადასცა აქტივის კონტროლი, კომპანია განაგრძობს გადაცემული აქტივის აღიარებას მის შენარჩუნებული მონაწილეობის ოდენობით. ასეთ შემთხვევაში, კომპანია ასევე აღიარებს შესაბამის ვალდებულებას. გადაცემული აქტივი და შესაბამისი ვალდებულება ფასდება იმის საფუძველზე, რაც ასახავს კომპანიის მიერ საკუთარ თავზე აღებულ უფლებებსა და ვალდებულებებს.

შენარჩუნებული მონაწილეობა, რომელიც გადაცემულ აქტივზე გარანტიის ფორმას იღებს, ფასდება აქტივის ორიგინალი საბალანსო ღირებულების უმცირესის ოდენობით და ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობით, რომლის გადახდა კომპანიას შეიძლება მოეთხოვოს.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები, საკუთარი ვალის ფასიანი ქაღალდები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით პლიუს პირდაპირ მიკუთვნებული ტრანზაქციის ხარჯები.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ისინი ფასდება ამორტიზირებულ ფასად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ ვალდებულებების აღიარება შეწყვეტილია, ისევე როგორც ამორტიზაციის პროცესით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, თუ პასუხისმგებლობით გათვალისწინებული ვალდებულება შესრულდება ან გაუქმებული ან ვადა ამოიწურა.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, თუ კომპანიას აქვს აღიარებული თანხების გაქვითვის იურიდიული აღსრულების უფლება, და თუ განზრახული აქვს, ანგარიშსწორება მოახდინოს წმინდა საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულება.

თუ შემდგომ პერიოდში, გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება ობიექტურად იქნება დაკავშირებული მოვლენასთან, რომელიც მოხდება გაუფასურების აღიარების შემდეგ (როგორცაა დებიტორის კრედიტუნარიანობის რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურება შებრუნდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მორგებით წლის მოგება-ზარალის გავლით.

უიმედო აქტივების ჩამოწერა ხდება გაუფასურების შესაბამისი ზარალის წარდგენით მას შემდეგ, რაც აქტივის დაბრუნებისთვის ყველა საჭირო პროცედურა დასრულებულია და ზარალის ოდენობა განსაზღვრულია. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი დაბრუნება ხორციელდება გაუფასურების ზარალის ანგარიშით წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომელიც მოქმედებს აღიარებულ თანხებზე ფინანსური ანგარიშგებაში და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და გადაწყვეტილებები მუდმივად ფასდება და ემყარება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინზე, რომელიც ითვლება გონივრულად ამ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებებს, იმ ჩართული შეფასებების გარდა, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. გადაწყვეტილებები, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს აღიარებულ თანხებზე ფინანსური ანგარიშგებაში და შეფასებები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი კორექტირება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მომდევნო ფინანსურ წელიწადში, მოიცავს:

ქონებისა და აღჭურვილობის საექსპლუატაციო ვადას. ქონებისა და აღჭურვილობის საექსპლუატაციო ვადის შეფასება არის განსჯის საკითხი, რომელიც ეფუძნება გამოცდილებას მსგავს აქტივებთან. მომავალი ეკონომიკური სარგებელი განხორციელებული აქტივებში გამოიყენება მოხმარებით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა, ტექნიკური ან კომერციული დაძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ საექსპლუატაციო ვადას აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და სავარაუდო პერიოდის შესაბამისად, რომლის დროსაც აქტივებმა სავარაუდოდ კომპანიას უნდა მოუტანოს სარგებელი. შემდეგი მთავარი ფაქტორები განიხილება: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საწარმოო ფაქტორებზე და ტექნიკური მომსახურების გეგმაზე; და (გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება, რომელიც წარმოიშობა საბაზრო პირობების ცვლილებებიდან.

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაკმაყოფილებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას. კომპანია კვლავ სტარტ-აპის ფაზაშია და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის დღეს, ორი მომგებიანი ოპერაცია (ლოპოტასა და ძამას ჰიდროელექტროსადგურები), თუმცა მიმდინარე და სხვა მოსალოდნელი პროექტები განიხილავს კომპანიას მომგებიანად. ხელმძღვანელობას მიიჩვევს, რომ კომპანია გააგრძელებს მისი მფლობელებისგან საჭირო ფინანსური დახმარების მიღებას, სანამ საჭირო იქნება.

ხელმძღვანელობის ანაზღაურება და ფირმათშორისი ხარჯების გადახდა. შპს მეპთაგონი (Meptagon LTD) (მშობელი კომპანია) აკისრებს კომპანიას MG Renewables LLC გარკვეულ ხარჯებს, რომელიც დადასტურებულია როგორც ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და შეადგენს 808 ლარს 2020 წელს (745 ლარს 2019 წელს). ეს ტრანზაქციები ექვემდებარება გადაცემის ფასის რეგულაციებს და შეიძლება დაექვემდებაროს უფრო მკაცრ შემოწმებას შესაბამისი ორგანოებიდან. მშობელი კომპანიის ხელმძღვანელობასა და კომპანიას MG Renewables LLC მიაჩნია, რომ ისინი შეძლებენ წარმატებული საქმის წარმოებას იმის საჩვენებლად, რომ ეს ხარჯები შეესაბამება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 72-ე პარაგრაფს. კერძოდ, გაწეულ ხარჯებს მოაქვს სარგებელი კომპანიისთვის MG Renewables LLC (და არ არის ბუნებით განმეორებითი). თუ ხელმძღვანელობა ვერ აჩვენებს შესაბამისობას პარაგრაფთან, კომპანიას MG Renewables LLC დაეკისრება საბასო საგადასახადო ოდენობა ხარჯების დაახლოებით 15 პროცენტი, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს.

2.15 ფასს-ის შესწორებები, რომელიც სავალდებულოდ მოქმედია მიმდინარე პერიოდისთვის

(ა) ახალი სტანდარტები და ცვლილებები - მოქმედი 2021 წლის 1 იანვრიდან

შემდეგი სტანდარტები და ინტერპრეტაციები პირველად გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების პერიოდისთვის, რომლებიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ და არ ჰქონია რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სათაური	ძირითადი მოთხოვნები	ეფექტური თარიღი
